ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3741922

ნომერი: AR1561721

თარიღი : 30.11.2017

გაცემის თარიღი : 18.12.2017

გაცნობის თარიღი : 18.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის , (ნაკვეთი 09/033) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯამათა ჩარკვიანი პ/ნ 12001061760
- გარდაბანი ლელაშხას დას.

ორგანიზაცია:
- შპს აკა კოდი: 402039744

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ოქტომბრის №3607834 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 30 ნოემბერს №AR1561721 განცხადებით მომართა ჯამათა ჩარკვიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 12 ოქტომბრის №3607834 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ოქტომბრის №3607834 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დიდი დიღომი მიკრო/რაიონსა I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის (ნაკვეთი 09/033) შპს ,,აკა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და სამსახურის 2017 წლის 23 ოქტომბრის №3630519 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 23 ოქტომბრიდან 2019 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ოქტომბრის №3607834 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, კომერციულ ფართობად 791.1 კვ.მ-ის ნაცვლად 340.0 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1942.8 კვ.მ-ის ნაცვლად 1986.7 კვ.მ-ის, გამორჩენილი ავტოსადგომის ფართობად 1247,6 კვ.მ-ის საერთო ფართობად 15532.1 კვ.მ-ის ნაცვლად 16372.5 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდეგ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ოქტომბრის №3607834 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ოქტომბრის №3607834 ბრძანებაში კერძოდ, კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 340.0 კვ.მ; საზაფხულო ფართობად - 1986.7 კვ.მ; გამორჩენილ ავტოსადგომის ფართობად - 1247.6 კვ.მ; საერთო ფართობად 16372.5 კვ.მ.
2. ჩანაცვლდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ოქტომბრის №3607834 ბრძანებით შეთანხმებული -3.00, + 0.00, + 6.90, +38.90, + 42.10, + 51.70 ნიშნულებზე მდებარე გეგმები 2017 წლის 30 ნოემბრის №AR1561721 განცხადებით წარმოდგენილი-3.00, + 0.00, + 6.90, +38.90, + 42.10, + 51.70 ნიშნულებზე მდებარე გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ოქტომბრის №3607834 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 ოქტომბრის №3607834 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.